ორგანიზაციული საკითხები
(ცარტიული და საბჭოთა მშენებლობა)

პროლეტარიანო ყველა ქვეყნისა, შეიერთიდინ! — ფილოსოფიურ მეცნიერებანი

ქომუნისტი

სკპ. ც. კ. (ბ) სტრ. და ტკ. კომუნისტების და სკპ. ცკ-ის ორგანო

ტელეფონები: ბიბ. რედაქტორის—14—78, ტექ. მოიჯარეთან—22—17, საქმეთა—10—38, ბიბ. კანტორის—3—31

ოთხშაბათი, 14 თებერვალი 1934 წ. № 33 (3894)

ამხ. ლ. მ. კაგანოვიჩის მოხსენება სკპ. კ. პ. (ბ) მე-17 ყრილობაზე 1934 წლის 6 თებერვალს

ახალ გამარჯვებათა გასალები

(„პრავდა"-ს 13 თებერვლის მოწინავე წერილი)

ამხ. კაგანოვიჩის მოხსენება მე-17 ყრილობაზე ორგანიზაციული საკითხების შესახებ (პარტიული და საბჭოთა მშენებლობა), გამოქვეყნებული „პრავდას" გუშინდელ ნომერში, ისევდა პარტიის იმ ორგანიზაციულ მუშაობის მთელი ისტორიული მეცნიერული მეცნიერული ანალიზია. ეს ანალიზი ბელშევიკურ სიფრანკეთ, ობიექტივიზმ ბოლშევიკური ბრალდებულებ. ეს ანალიზი ბოლშევიკურ ბრალდებულ ბრალდებულ ბრალდებულ

კომუნისტი ოთხშაბათი, 14 თებერვალი 1934 წ. № 38 (38..)

ამხ. ლ. მ. კაგანოვიჩის მოხსენება

1933 წელს 50 პროც. „კომუნისტების პროცენტი უმაღლეს. სასწავლებლების და უმაღლესი ტექნიკური სასწავლებლების მოსწავლეთა შემადგენლობაში 1928 წელს არსებულ 15 პროცენტიდან 1933 წელს 22 პროცენტამდე გაიზარდა, ხოლო კომკავშირელთა რიცხვი — 1928 წელს არსებულ 19 პროცენტიდან 1933 წელს — 30 პროცენტამდე. პირველი ხუთწლედის განმავლობა-

ში უმაღლესმა სასწავლებლებმა და უმაღლესმა ტექნიკურმა სასწავლებლებმა გამოუშვეს 170 ათასი სპეციალისტი, ხოლო მარტო 1933 წელს — 37 ათასი სპეციალისტი.

შედეგად უმაღლეს სწავლადამთავრებულ სპეციალისტების რაოდენობა ყველა დარგში 1928 წელს არსებულ 179 ათასიდან 1933 წლის დამდეგისათვის 303 ათასამდე გაიზარდა.

ტექნიკუმების ხაზით

	1928 წ.	1933 წ.
ტექნიკუმების რაოდენობა	1033	3622
ტექნიკუმების მოსწავლეთა რაოდენობა (ათასობით)	188	689

მუშების პროცენტი ტექნიკუმების მოსწავლეთა შემადგენლობაში გაიზარდა 1928 წლის 25-დან 41 პროცენტამდე 1933 წელში, ხოლო კომკავშირელების პროცენტი — 1928 წლის 36-დან 42 პროცენტამდე 1933 წელში.

პირველი ხუთწლედის განმავლობაში ტექნიკუმებიდან გამოშვებულ იქნა 309 ათასი კაცი, მარტო ერთ 1933 წელს — 153 ათასი.

ამის შედეგად საშუალო ტექნიკური განათლებით აღჭურვილი სპეციალისტების რიცხვი საბჭოთა კავშირში გაიზარდა 1928 წლ. 313 ათასიდან 669 ათასამდე 1933 წლ დამდეგისათვის.

ეს ციფრები გვიჩვენებენ უდიდეს რაოდენობრივ ძვრებს. მაგრამ კა-...

კადრების მომზადება რაოდენობრივაც და ხარისხობრივადაც.

ამხანაგ სტალინის ისტორიულმა ლოზუნგებმა: **„ტექნიკა რეკონსტრუქციის პერიოდში ყველაფრის გადამწყვეტია, ბოლშევიკები უნდა დაეუფლონ ტექნიკას“.** — გამოიწვიეს უდიდესი ენტუზიაზმი და ლტოლვა ცოდნისადმი კომუნისტების, მოწინავე უპარტიოების და კოლმეურნეების მხრივ. ჩვენი პარტიის უდიდესი ორგანიზაციული მუშაობის შედეგად საბჭოთა კავშირი გადაიქცა **მასობრივი ტექნიკური განათლების** ქვეყნად. ჩვენ ახლა ვიწყებთ ამხანაგ სტალინის ამ ისტორიული დირექტივების უხვი ნაყოფის **მომკას** და მეორე ხუთწლედში შევდივართ ახალგაზრდა პროლე-...

...

დღეს ის წარმატებით მუშაობს. ეს პროფესორი მიიწვიეს იაპონიაში ახალი ქარხნის მშენებლობის კონსულტანტად, მაგრამ ამ ახალგაზრდა საბჭოთა პროფესორმა ზრდილობიანად უპასუხა, რომ მას დრო არა აქვს, ჩვენ ჩვენი სამუშაოც გვეყოფაო (სიცილი, ტაში).

...ტრესტის დირექტორის რთულ საქმეს.

შეიძლებოდა მოგვეყვანა ათასი მაგალითები, როდესაც გუშინდელი შავი მუშები გახდენ ბრიგადირები, ოსტატები და ტექნიკოსები. ეს შედეგია იმ ბრძოლისა, რომელიც გაშალა პარტიამ პროლეტარული კადრებისათვის.

როგორ აძაგრებდა პარტია მუშაკებით საკოლმეურნეო სოფელს

ცალკე უნდა შევჩერდეთ კადრებზე სოფლის მეურნეობისათვის. აქაც, როგორც მრეწველობაში, გა-ფართოებულია ჩვენი ტექნიკური კადრების მომზადება.

კადრების მომზადება სოფლის მეურნეობისათვის.

	1928 წ.	1933 წ.
სას.-სამ. უმაღლესი და უმაღლესი ტექნიკური სასწავლ. რიცხვი	30	116
სას.-სამ. ტექნიკუმების რიცხვი	204	928
მოსწავლეთა რაოდენობა სას.-სამ. უმაღლეს და უმაღლეს ტექნიკურ სასწავლებლებში (ათასობით)	29	99
მოსწავლეთა რაოდენობა სას.-სამ. ტექნიკუმებში (ათასობით)	30	121

პირველ ხუთწლედში სას.-სამ. უმაღლეს სასწავლებლებიდან გამოშვებულია 29 ათასი, 1933 წელს კი —6 ათასი; სას.-სამ. ტექნიკუმებიდან პირველ ხუთწლედში გამოშვებულია—67 ათასი, 1933 წელს კი—31 ათასი.

ამის შედეგად, თუ პირველი ხუთწლედის დასაწყისში სასოფლო-სამეურნეო...

სოფლის მეურნეობაში უკანასკნელ წლებში განსაკუთრებული სიმწვავით დაისვა საკითხი ხელმძღვანელი ორგანიზატორული კადრების შესახებ.

თუ მრეწველობას შეეძლო თვითონ გამხდარიყო თავისი კადრების შევსების წყარო, სოფლის მეურნეობაში ეს შესაძლებლობანი უკა-...

...

რასაკვირველია, ჯერ კიდევ არ არის დაკმაყოფილებული მთლიანად მოთხოვნილება სოფლის მეურნეობის ტექნიკურ კადრებზე. მაგრამ...

საბჭოებში, კომკავშირში, კოოპერაციაში და სხვ.

ამხ. კაგანოვიჩის მოხსენებაში მთელი სიგრძე - სიგანით დასმულია საკითხი პარტიის წევრების იდეური შეიარაღების შესახებ, იმის შესახებ, რომ მომავალშიაც წარმოებდეს პარტიის წევრების გამობრძმედა და ჩვენს რიგებში ოპორტუნიზმის ყველა მცირეოდენ გამოხატულებასთან ბრძოლაში. პარტიის საქარხნო პირველადი ორგანიზაციების მუშაობის გარდაქმნა და გაუმჯობესება, ბიუროკრატიზმის ელემენტების აღმოფხვრა, სოფლის პირველადი პარტორგანიზაციების აყვანა ახალი ამოცანების დონემდე, პოლიტგანყოფილებათა გამოცდილება და რაიკომთა მუშაობის გარდაქმნა, საწარმოო-სადარგო განყოფილებების შექმნა პარტიის საოლქო კომიტეტებში, სამხარეო კომიტეტებში და ცენტრალურ კომიტეტებში,—აი...

...როგორიც არიან კოლმეურნეობები, სამანქანო-სატრაქტორო სადგურები და საბჭოთა მეურნეობები. აქედან გამომდინარეობდა ამოცანა—მიგვეცა სოფლისათვის ადამიანები გარედან, მიგვეცა მისთვის პროლეტარული ქალაქიდან მტკიცე მუშაკები, რომლებსაც შეეძლებოდათ შეექმნა სოფელში მტკიცე პარტიული ორგანიზაცია, გამოეჭედათ ბოლშევიკები, აღეზარდათ კადრები და შეექმნათ რეზერვები, რომელთაგან შემდეგში შესაძლებელი იქნებოდა მი... ო ხელმძღვანელი შემადგენლობა ჩვენი სოციალისტური სოფლის მეურნეობისათვის.

თქვენ ყველას გახსოვთ 25 ათასი მუშის გაგზავნა. ეს პირველი ნაბიჯი იყო. პირველ ხანებში ისინი დაეხმარენ სოფელს და კარგი როლიც ითამაშეს, მაგრამ ეს აღმოჩნდა არასაკმაო ძალა იმისათვის, რომ განგვემტკიცებინა სოფელი ახალ საკოლმეურნეო გზებზე.

და აი ამხანაგმა სტალინმა, ლენინურად განაზოგადა რა მდგომარეობა სოფლად, წამოაყენა ამოცანა — შევქმნათ სოფელში ახალი ორგანიზაცია — პოლიტგანყოფილებანი გავგზავნოთ იქ ქალაქიდან შემოწმებული, მტკიცე ადამიანები...

...

შეიძლებოდა მოგვეყვანა მთელი რიგი მკაფიო მაგალითები ნიჟეგოროდისა, რომლებიც ხუთწლედის ამსრულებლად გაიზარდენ. მე შემეძლო მელაპარაკა ამ ბუტების კოზე (პარტიის წევრი 1931 წლიდან), რომელიც ახლა წარსულში ზეინკალი იყო, უმაღლესი ტექნიკური სასწავლებელი დაამთავრა 1928 წელს...

...ვები, როცა მოდიოდენ ადამიანები და პირდაპირ გიოროდენ—რისთვის მიწუნებთ პოლიტგანყოფილებაში სამუშაოდ? თქვენ მე გამომიწვიეთ. თუ არა გსურთ გამგზავნოთ უფროსად, გამგზავნეთ მოადგილედ, თანაშემწედ, ინსტრუქტორად..

პოლიტგანყოფილებებში გაგზავნის გარშემო კომუნისტებს შორის პირდაპირ მოძრაობა გაიშალა.

ჩვენ ვაყალიბებდით ერთ ჯგუფს საარმიო მუშაკებისაგან. არმიამ ჩვენ მოგვცა პოლიტგანყოფილებათა უფროსების პირველი ჯგუფი 300 კა-...

...ცის შემადგენლობით. ეს იყო მტკიცე, შესანიშნავი ადამიანების პირველი რაზმი. (ტაში).

სოფლად გაიგზავნა 18 ათასზე მეტი პოლიტგანყოფილების მუშაკი, მათ შორის მუშები 58 პროცენტი; 35 პროცენტი პარტიული სტაჟით 1920 წლამდე—პოლიტგანყოფილებათა უფროსები პარტიული სტაჟით 1929 წლამდე—79 პროცენტი; პოლიტგანყოფილებათა უფროსების 45 პროცენტს მიღებული აქვს უმაღლესი პარტიული ან უმაღლესი საერთო განათლება; 46 პროცენტს—საშუალო განათლება.

პოლიტგანყოფილებათა მუშაკების გარდა, თვითეული ოლქი გზავნიდა ხალხს სოფლად კოლმეურნეობებში. არასრული ცნობებით, 23 ოლქმა გაგზავნა სოფლად დაახლოვებით 40—50 ათასი მუშაკი. ცენტრალური კომიტეტის მიერ პოლიტგანყოფილებათა მუშაკების გაგზავნამ აამოძრავა ოლქები და მხარეები.

პოლიტგანყოფილებათა უფროსების თითქმის ნახევარი—ეს მოსკოვიდან და ლენინგრადიდან გაგზავნილი ხალხია. ლენინგრადმა და მოსკოვმა—ამ ორმა დედაქალაქმა სახელოვნად მოიხადეს თავისი ვალი ქვეყნის წინაშე. (ტაში).

ცენტრალური კომიტეტი ამაგრებდა მუშაკებით სასოფლო-სამეურნეო და შორეულ მხარეებს

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ...დგილებისათვის დახმარების გაწევა მათი მუშაკებით გამაგრების მხრივ, ...

ზრდა და განაწილება, არამედ აგრეთვე ახალი საწარმოების, დაწესებულებების და სხვ. შექმნა.

არ იყო საკმაოდ ეფექტიური? იმიტომ, რომ შტატებს ამცირებდენ თავიდან ბოლომდე ძირფესვიანად...

...

ორგანიზაციული საკითხის მნიშვნელობა სოციალიზმის მშენებლობის ახლანდელ ეტაპზე

...ჩვენი იაღალი მომავალი დიდი ბრძოლებისათვის.

ჩვენი მიღწევები საშუალებას გვაძლევენ გავაძლიეროთ ბრძოლა ორგანიზაციული დეფექტების წინააღმდეგ. ჩვენ უნდა შევინარჩუნოთ პირველი ხუთწლედის მონაპოვარი, გავაუმჯობესოთ მუშაობის ხარისხი და შევავსოთ მშენებლობის პათოსი ათვისების პათოსით.

დიდი იყო ჩვენი მუშაობის ორგანიზაციული გაქანება. ამასთან აუცილებელი იყო შეცდომებიც, ისე როგორც ახლად აგებული ქარხნის ცალკეულ კუთხეებში გროვდება ნაგავი, დიდი მშენებლობის ნარჩენები. ახლა საჭიროა გავსუფთავდეთ, მოვიყვანოთ ყველაფერი წესრიგში.

ჩვენ მკვეთრად უნდა გამოვააშკარაოთ ჩვენი დეფექტები. მათი კრიტიკა ოდნავადაც ვერ დაჩრდილავს ჩვენს მიღწევებს. პირიქით, იგი მოწმობს საკუთარი ძალის შეგნებას, ...

ფუნქციონალობის დროს, რაც გაუპიროვნებას იწვევს, შეუძლებელია გარკვეული ოპერატიული ხელმძღვანელობის დაყენება, შეუძლებელია მტკიცე და პირადი პასუხისმგებლობის მიღწევა და, მაშასადამე, შეუძლებელია შესრულების სისტემატიური და გულდასმით შემოწმების უზრუნველყოფა. ფუნქციონალობის და აბნეული სტრუქტურის დროს ხდება საშუალო და უმაღლეს რგოლების შტატების გაბერვა.

დღეს გაგზავნიან მუშაკებს წარმოებაში, ხვალ კი მათ ისევ დააბრუნებენ გაბერილ კანცელარიებში.

აი ამიტომ ვაყენებთ ჩვენ ყველა ორგანიზაციულ საკითხს მთლიანად კომპლექსურად: ადამიანების შერჩევასაც, ორგანიზაციული სტრუქტურის შეცვლასაც, ხელმძღვანელობის კანცელარიულ-ბიუროკრატიული მეთოდების ლიკვიდაციასაც...

...იდეოლოგების — ოუენის და სხვების ყოველგვარი უტოპიური ცდა შეეტანათ კაპიტალისტურ მეურნეობაში ორგანიზებულობის ელემენტები, თვით კაპიტალიზმის მოსპობლად. სწორედ ამიტომ დამარცხდა სოციალფაშისტების და მათ ხელის შემწყობთა — ჩვენი მემარჯვენე ოპორტუნისტების ყველა ცდა—დაესაბუთებიათ მონოპოლიების, კარტელების, და ტრესტების განვითარების საფუძველზე „ორგანიზებული კაპიტალიზმის“ თეორია.

ფაქტიურად ჩვენ ვხედავთ, რომ კაპიტალისტების ცდები შეასუსტონ წარმოების ანარქია მონოპოლისტური ტრესტების ორგანიზაციის გზით არავითარ შედეგს არ იძლევა.

ბურჟუაზიული სახელმწიფო აპარატი, ბურჟუაზიული სამეცნიერო... რიები არ განაგებენ მეურნეობას...

...

(გაგრძელება იხ. მე-3 გვ.)

საკავშირო კ. პ. (ბ) XVII ყრილობაზე

II

საბჭოთა და სამეურნეო ორგანოების მმართველობის გარდაქმნა

I. ორგანიზაციული საკითხები მძიმე მრეწველობაში

მე აქ დაწვრილებით არ შევჩერდები ქვანახშირის საკითხის დაყენებაზე. ერთი რამ ცხადია — ამ საკითხში ისე, როგორც არც ერთ სხვა საკითხში, უზრუნველყოფილ იქნა კავშირი პოლიტიკურ - სამეურნეო ამოცანისა და მის რაციონალურად გადაჭრას შორის.

ისეთი ვიწრო ადგილის გადალახვის პოლიტიკური და ეკონომიური ამოცანა, როგორიცაა ქვანახშირის მრეწველობის ჩამორჩენა, უზრუნველყოფილ იქნა ცენტრალური კომიტეტის მიერ ისეთი ორგანიზაციული ღონისძიებებით, როგორიცაა გამანადგურებელი ლახვარის ჩაცემა ხელმძღვანელობის კანცელარიულ - ბიუროკრატიული მეთოდისათვის, კვალიფიციური საინჟინრო-ტექნიკური ძალების გაგზავნა უშუალოდ წარმოებაში, ბრძოლა ფუნქციონალობასთან, გაუპიროვნებასთან მართვა-გამგეობაში და გათანაბრე-

მიტეტის პირველ გადაწყვეტილებას და შემდგომ დებულებას მაღაროს სამადნო სამმართველოს და ტრესტის შესახებ. ამ დებულებით ჩვენ დავიწყეთ ბრიგადირიდან და ათისთავიდან, წარმოების პირველადი უჯრედიდან, მივეცით უფლებები უბნის უფროსს, გადავჭერით შრომის ნორმირების, სამუშაო ხელფასის, მექანიზმების რემონტის და სხვ. საკითხები. ორგანიზაციული საკითხი საფუძვლიანად და ღრმად გადაიჭრა ქვანახშირის მრეწველობაში. შედეგები ცნობილია.

ქვანახშირის მაგალითიდან ჩანს, თუ როგორ უნდა შემცირდეს შტატები, როგორ უნდა შეიცვალოს სტრუქტურა და როგორი შედეგების მიღწევა შეიძლება. აი მაგალითები. „ილიჩის" მაღაროში (კადიევკა), პირველ მარტისათვის იყო 171 მოსამსახურე, ხოლო 1934 წლის პირველ იანვრისათვის — 84, [...]

რასაკვირველია, გარდაქმნა ჯერ კიდევ არ დამთავრებულა ქვანახშირის მრეწველობაშიც. იქაც მოიპოვება მთელი რიგი მაღაროები და ტრესტები, რომელთა შესახებაც შეიძლება ითქვას: ბუნება კარებში გააგდეთ, ფანჯრიდან შემოვა. ამ შემთხვევაში მე ვლაპარაკობ ბიუროკრატიული ბუნების შესახებ. იქ ჯერ კიდევ საჭიროა ბრძოლა, საჭიროა შესრულების შემოწმება და არადერამა არ უნდა გაგვიტაცოს, მაგრამ ჩვენ მაინც შეგვიძლია ვთქვათ, რომ ქვანახშირის მრეწველობა ორგანიზაციულ საკითხში მთელ დანარჩენ მრეწველობაზე წინაა.

გაითვალისწინა თუ არა მთელმა მრეწველობამ ქვანახშირის გაკვეთილები? მე პირდაპირ უნდა ვთქვა, რომ დონბასის გაკვეთილები ჯერ კიდევ სუსტად და არადამაკმაყოფილებლადაა გათვალისწინებული ჩვენი მრეწველობის მიერ.

[...]

— სატარიფო-ეკონომიური [...] და სხვ.

ეს ფუნქციონალური სისტემა პირდაპირ იწვევს იმას, რომ დირექტორი, რომელიც თავისუფალია საამქროების უშუალო ხელმძღვანელობისაგან, იწევა საერთო ბრძანებების გაცემას. აი ამ დირექტორის ერთი [...]

[...] ყველაფერი რიგზე ვერ არისო. ეს არის სწორედ უპასუხისმგებლობა, რასაც ქმნის ფუნქციონალობა, რომელიც წუნისათვის დამნაშავეების გამოძებნას აძნელებს.

მე საჭიროდ მიმაჩნია განსაკუთრებული ყურადღება მივაქციო ტექ[...]

[...] რება ხდება საამქროებში საამქროების უფროსების ხელმძღვანელობით და იქვე მზადდება. ეს უსათუოდ გამოიღებს ნაყოფს და ეს ნაყოფი კიდევაც არის.

(დასას. — მომდევნო ნომერში)

გამოსვლა მინდორში

(გალი, „კომუნისტის" სპეციალური კორესპონდენტისაგან)

იანვრის ბოლო რიცხვებში სოფ. ცხიროგალის ამხ. სტალინის სახ. (№ 1) კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ამხ. ჩიქორი კვაკვასკირიამ და საკოლმეურნეო უჯრედის მდივანმა ამხ. გედანი კვაკვასკირიამ, გალის სამანქანო-სატრაქტორო სადგურის [...]

[...] კები პოლიტგანყოფილების სხვა კოლმეურნეობიდანაც ქონდა მიღებული, მაგრამ თუ გამოკვლევის ობიექტად სოფ. ცხიროგალის კოლმეურნეობა აიღეს, იმიტომ, რომ პოლიტგანყოფილების დაარსებამდე ეს კოლმეურნეობა დაშლის გზაზე იყო [...]

„წვრილმანი" ჩავარდნები

ამ მიღწევებთან ერთად გამომჟღავნდა შემდეგი ნაკლოვანებანი: ზოგიერთი გუთნეული არ არის სათანადოთ მომზადებული. გუთნის მოწყობილობას აკლია სამაგრი ჭანჭიკები და მისამსგავსი ჯაჭვები. გუთანი № 8—2 (გუთნის დედა — უ. ჯგ[...]

საცდელი ხვნის დროს გამოირკვა, რომ კოლმეურნეობა განიცდის ულების ნაკლებობას. წავაწყდით მუშა-პირუტყვისადმი უპასუხისმგებლოდ მოვლის ფაქტებსაც. ზოგიერთი ხარ-კამეჩი დაუძლეველი აღმოჩნდა. საცდელი მუშაობის დროს ჩვენ [...]

[...]

ნ. კუხალეიშვილი.

მუშათა საყოველთაო გაფიცვა საფრანგეთში

„ბრძოლა დაწყებულია, უკან დახევა ნიშნავს პროლეტარიატის ინტერესების ღალატს“

ლონდონი, 12 თებერვალი. პირველი ცნობების მიხედვით, საყოველთაო გაფიცვა პარიზში დაიწყო. მთავარ ფოსტას, ელექტროსადგურს, ტელეფონს, რკინის გზის და სახაზინო სადგურებს ჯარები იცავენ. სატელეფონო სადგურზე მოიყვანეს საინჟინრო ჯარები, რათა იქონიონ უკიდურესად აუცილებელი კავშირი. ფოსტაში წერილების გადამრჩევად მუშაობენ ჯარისკაცები, დილის 3 საათზე ცენტრალური ტელეგრაფის მოსამსახურეებმა შესწყვიტეს...

...ლი!. მახლობლად. ღამით წარმოებდა საბარიკადო ბრძოლები. ჰავასის სააგენტოს ხადმოცემით, ბარიკადებზე მოკლულია კომპარტიის ადგილობრივი ორგანიზაციის ერთ-ერთი ხელმძღვანელი. ყველგან დაპატიმრეს მრავალი კაცი.

იმავე ცნობებით, 12 თებერვალს, ნაშუადღევს გაფიცვა გაფართოვდა. შტრეიკბრეხერებთან შეტაკებაში მონაწილეობის მიღებისათვის დაპატიმრეს 367 კაცი.

...საყოველთაო გაფიცვის წინ გამოვიდა „ლუმანიტეს“ სპეციალური ნომერი, რომელიც მოუწოდებდა მასებს ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლისაკენ. ნომერში გამოქვეყნებულია კომპარტიის მიმართვა მშრომელებისადმი. „კომპარტიის ხელმძღვანელობით,—ნათქვამია მიმართვაში,—საფრანგეთის პროლეტარიატმა სასტიკი წინააღმდეგობა...

...დემონსტრაციის ბელადების მეცადინეობის მიუხედავად, კომუნისტები შესძლებენ თან გაიყოლიონ მასები და დაუმტკიცონ მათ, რომ ახლა, როცა ბრძოლა დაწყებულია, უკან დახევა ნიშნავს პროლეტარიატის ინტერესების ღალატს“.

მიმართვა მთავრდება საბრძოლო ლოზუნგებით, რომლებიც მოუწოდებენ საყოველთაო გაფიცვისაკენ (ადს).

ინგლისის პრესა პარიზში მომხდარი ამბების შესახებ

ლონდონი, 12 თებერვალი. საღამოს „ივნინგ ნიუსი“ იუწყება, რომ პარიზის ქუჩები დაცარიელდა, არ არის ავტობუსები, არაა ტაქსები. ...

საფრანგეთში გაფიცვა მოიცვა 4 მილ. კაცი

სისხლისმღვრელი შეტაკებები ავსტრიაში

ვენაში გამოცხადდა საყოველთაო გაფიცვა.—მოელიან გაფიცვის გამოცხადებას მთელ ავსტრიაში

ქალაქ ლინცის განაპირა უბნები აჯანყებულ მუშების ხელშია

პრაღა, 12 თებერვალი. გაზეთების კორესპონდენტების ცნობით, ამბების ვითარება ავსტრიაში შემდეგია:

დღეს დილით ქალაქ ლინცში პოლიცია შეიჭრა ადგილობრივი სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის „მუშათა სახში“. ჩხრეკის მოსახდენად იარაღის ძებნის მიზნით. მუშებმა პოლიციელებს წინააღმდეგობა გაუწიეს და ჩასაფრდნენ „მუშათა სახლში“. მუშების წინააღმდეგ გამოყვანილი იქნა ჯარის ნაწილები ტყვიამფრქვევებით. გაჩაღდა სისხლისმღვრელი შეტაკება. საათის ნახევარზე ითვლებოდა 20 მოკლული და 100 დაჭრილი. აჯანყებულთა წინააღმდეგ გამოყენებული იქნა არტილერია, რის შემდეგ აჯანყებულებმა უკან დაიხიეს. ამგვარად ლინცში შემდეგი მდგომარეობაა: მთავრობის ჯარებს უჭირავს ქალაქის ცენტრი ხოლო ქალაქის განაპირა ადგილები აჯანყებული მუშების ხელშია. დაუყოვნებლივ, როგორც კი ვენაში მიღებულ იქნა ცნობები ლინცში მომხდარი ამბების შესახებ, გაზის ქარხნის და ელექტრო-საწარმოების მუშებმა სოლიდარობის ნიშნად გამოაცხადეს გაფიცვა. მათ შეუერთდნენ წყალსადენის და ტრამვაის მუშები. შუადღის შემდეგ ვენაში გამოცხადდა საყოველთაო გაფიცვა. მახლობელი საათების განმავლობაში მოელიან გაფიცვის გავრცელებას მთელ ავსტრიაში. (ადს).

ზემო-ავსტრიაში გამოცხადებულია სამხედრო წესები.

ლონდონი, 12 თებერვალი. რეიტერის სააგენტო ვენიდან იუწყება, რომ ზემო-ავსტრიაში გამოცხადებულია სამხედრო წესები. 17 საათიდან აკრძალულია ყოველგვარი კრებები (ადს).

საალყო წესები ვენაში

პრაღა, 12 თებერვალი. ვენაში გამო... პრეზიდიუმში, სადაც მათ თითქოს მოთხო... მე-16, მე-17 და მე-10 რაიონებში დაიწყო...

...წერი შენობები და არხების სანაპიროები დაკავებულია პოლიციის მიერ. ყველგან დადგმულია ტყვიამფრქვევები. გაფიცვის გამო საღამოს გაზეთები არ გამოსულა. უსაბუთოდ ქუჩაში გამოსვლა შეუძლებელია. საღამოს 7 საათზე ყველა შესავალი კარები და ჭიშკრები დაკეტილი უნდა იყოს. არსებული ცნობებით, ავსტრიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრები დაპატიმრებული და მოთავსებული არიან პოლიციი... ...დაიწყო შეტაკებები პოლიციასთან. ვენის ვებულია ჯარის მიერ (ადს).

ლინცსა და ვენაში შეტაკებები გრძელდება

ვენა, 12 თებერვალი. საყოველთაო გაფიცვა, გარდა ლინცისა, გამოცხადდა აგრეთვე ავსტრიის მთელ რიგ სხვა ქალაქებში მუშათა მასებში უდიდესი აღელვებაა. მთელ რიგ პროვინციულ ქალაქებში ხდება მკაცრი შეტაკება მუშებსა და ჯარებს შორის.

ვენა 12 თებერვალს საღამოს გაჩვეთ... წყვდიადში, ვინაიდან ელექტროსადგური არ მუშაობს. ხელისუფალნი „წესრიგის დამრღვევთ“ სიკვდილით დასჯით ემუქრებიან.

პოლონეთ-საბჭოთა კავშირის ურთიერთობისათვის

პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ბ-ნი ბეკი ნეგორელოეში

ნეგორელოე, 12 თებერვალი. დღეს, 18 საათზე, ნეგორელოეში ჩამოვიდა მოსკოვს მიმავალი პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ბ-ნი ბეკი თავისი მეუღლით. ვარშავიდან ბ-ნ ბეკთან ერთად მოემგზავრებიან საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენელი პოლონეთში ამხ. ანტონოვ-ოვსეენკო, აგრეთვე პოლონეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს თანამშრომლები ბ-ნი დემბიცკი, და ბალინსკი და კო... საქმეთა სახალხო კომისარიატის გენერალური მდივანი ამხ. დივილკოვსკი და მრჩეველი პოლონეთის მისიის მოსკოვში ბ-ნი სოკოლნიცკი.

ბ-ნ ბეკთან ერთად მოსკოვში ჩამოდიან მისი მეუღლე ქ-ნი ბეკი, მინისტრის კაბინეტის უფროსი ბ-ნი დემბიცკი, საგარეო საქმეთა სამინისტროს მრჩეველი ბ-ნი ...ლინსკი, პოლონეთის დეპეშათა სააგენტოს ვიცე-დირექტორი ბ-ნი ობარსკი, სააგენტო „ისკრას“ რედაქტორი ბ-ნი ბესტერმანი და გაზეთ „კურიერ პორანის“ სპეციალური ...

შეხვედრა მინსკში

მინსკი, 13 თებერვალი. 12 თებერვალს მინსკზე გავლით მოსკოვს გაემგზავრა პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ბ-ნი ბეკი მეუღლით. საგარეო საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებით და პოლონეთის პრესის წარმომადგენლებით. სადგურზე ბ-ნ ბეკს შეხვდენ ბელორუსიის ს.ს. რესპუბლიკის სახკომსაბჭოს თავმჯდომარე ამხ. გოლოდედი, ბელორუსიის ს.ს. რესპუბლიკის სახკომსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ამხ. ბალტინი და ბელორუსიის განათ...

სსრკ სახკომსაბჭოსთან საბჭოთა კონტროლის კომისიის შექმნის შესახებ

ს.ს.რ.კ. ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის და სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილება

მთავრობის გადაწყვეტილებათა შესრულების კონტროლის გაძლიერების და საბჭოთა დისციპლინის განმტკიცების მიზნით, სსრკ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. გადაკეთდეს სსრკ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული შესრულების კომისია... შესრულებას თავისი დადგენილება რომ, გაუქმდეს. მუშათა და გლეხთა ინსპექციის აპარატი გადაეცეს სსრკ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებულ საბჭოთა კონტროლის კომისიას.

3. დაევალოს სსრკ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებულ საბჭოთა კონტროლის კომისიის თავმჯდომარეს ერთი დეკა...

...ბ. ა. როიზენმანი, გ. ი. ლომოვი, ა. მ. ციხონი, ი. მ. მოსკვინი, მ. ი. ულიანოვა, ზ. მ. ბელენკი, რ. ს. ზემლიაჩკა, მ. ა. დეიჩი, ა. ი. გაისტერი, ნ. მ. ანცელოვიჩი, გ. დ. ბაზილევიჩი, ს. მ. ბალახნინი ი. ი. ბაუერი, ა. პ. ბოგატი, ი. ა. ბოგდანოვი, ვ. ლ. ბუკატი, ა. ა. ბუხანოვი, ე. ი. ვეინბაუმი, რ. ს. ვენგეროვა, ნ. ა. ვოზნესენსკი, ვ. გეკი, მ. ი. გემერვერტი ი. ი. გინდინი, ი. მ. გლადშტეინი, ლ. ე. გოლდიჩი, ა. ნ. გუსევი, ა. ი. დოგადოვი, ვ. ნ. ეგოროვი, ... ფეიგინი, ი. ს. ცარევი, გ. ვ. შაბლიევსკი, გ. დ. ხაზანიანი.

სსრკ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე—მ. კალინინი.

სსრკ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე: ვ. მოლოტოვი (სკრიაბინი)

სსრკ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი ა. ენუქიძე.

11 თებერვალი, 1934 წ.

მოსკოვი, კრემლი.

სსრკ სახკომ აბჭოსთან საბჭოთა კონტროლის კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ

ს.ს.რ.კ. ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის და სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილება

...

11 თებერვალი, 1934 წ.

მოსკოვი, კრემლი.

სსრკ სახკომ აბჭოსთან საბჭოთა კონტროლის კომისიის ბიუროს შემადგენლობის და მტკიცების შესახებ

ს.ს.რ.კ. სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილება

სსრკ სახალხო კომისართა საბჭოს ადგენს:

დამტკიცებულ იქნას სსრკ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებულ საბჭოთა კონტროლის კომისიის მიერ არჩეული კომისიის ბიურო შემდეგი შემადგენლობით:

ვ. ვ. კუიბიშევი (თავმჯდომარე), ნ. კ. ანტიპოვი (თავმჯდომარის მოადგილე), ბ. ა. როიზენმანი, გ. ი. ლომოვი, ა. მ. ციხონი, ი. მ. მოსკვინი, მ ი. ულიანოვა, ზ. ი. ბელენკი, რ. ს. ზემლიაჩკა, მ. ა. დეიჩი, ა. ი. გაისტერი.

სსრკ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე ვ. მოლოტოვი (სკრიაბინი)

სსრკ სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველი ი. მიროშნიკოვი.

11 თებერვალი, 1934 წ.

მოსკოვი, კრემლი.

ტრაქტორების რემონტი 10 თებერვლისათვის

(საქ. ტრაქტორცენტრის ცნობის მიხედვით)

სამ.-სატ. სადგურები	შესაკეთებელი გეგმა	შეკეთებულია	გეგმის შესრულება %%-ში
ახალქალაქის (დირექტორი ამხ. ა. მიკაელიანი)	22	22	100
აჭარის (დირექ. ამხ. კ. კოხოძე)	32	18	56,2
გორის (დირექ. ამხ. გ. სიხარული-ძე)	28	25	89,3
კასპის (დირექ. ამხ. ვ. ფსიტიძე)	18	9	50,0
ბორჩალოს (დირექ. ამხ. მ. წერეთელი)	52	13	25,0
ყარაიას (დირექ. ამხ. შიხლინსკი)	24	12	50
საგარეჯოს (დირექ. ამხ. ვ. ჟღენტი)	22	19	86,4
გურჯაანი (დირექ. ამხ. პ. ჩარგაზია)	26	14	53,8
წნორის (დირექ. ამხ. სტეფანოვი)	53	29	54,7
ლაგოდეხის (დირექ. ამხ. ვ. პივნევი)	30	22	73,3
ყვარელის (დირექ. ამხ. ვ. მგალობლიშვილი)	**10**	**10**	**100,0**
თელავის (დირექ. ამხ. ს. ცუცქირიძე)	**16**	**16**	**100,0**
ზესტაფონის (დირექ. ამხ. მ. კაკაბაძე)	13	11	84,6
ქუთაისის (დირექ. ამხ. ბასილაია)	21	10	47,6
ხონის (დირექ. ამხ. ა. ანდღულაძე)	**8**	**8**	**100,0**
სამტრედიის (დირექ. ამხ. კ. შანიძე)	19	10	52,6
აბაშის (დირექ. ამხ. ვ. ცაავა)	33	15	45,5
მარტვილის (დირექ. ამხ. კ. მონიავა)	**12**	**12**	**100,0**
სენაკის (დირექ. ამხ. ვაშაკიძე	21	13	61,9
ხობის (დირექ. ამხ. კ. ცაავა)	12	6,	50,0
ზუგდიდის (დირექ. ამხ. ჩიქავა)	22	14	63,6
წალენჯიხის (დირექ. ამხ. გ. კუჭავა)	6	5	83.3
ლანჩხუთის (დირექ. ამხ. ნ. ლალაძე)	25	20	80.0
ოზურგეთის (დირექ. ამხ. გ. ორაგველიძე)	**9**	**9**	**100 0**
ბათომის (დირექ. ამხ. ვ. ზაპოლსკი)	6	3	50,0
გალის (დირექ. ამხ. ლ. ყურსუა)	22	19	86,4
ოჩემჩირის (დირექ. ამხ. გ. ცვიჟბა)	41	39	95,1

ამრიგად 10 თებერვლისათვის შეკეთებული იყო სულ 403 ტრაქტორი, რაც შეადგენს ტრაქტორების შესაკეთებელი რაოდენობის 66,8 პროცენტს. აქედან კაპიტალურად შეკეთებულია 131 ტრაქტორი (56,9 პროც.). საშუალოდ — 206 ტრაქტორი (91,5 პროც.), ხოლო მიმდინარე — 66, ანუ გეგმის მხოლოდ 44,6 პროც.

როგორც ამ ცნობებიდან ვხედავთ, ყველაზე დიდი ჩამორჩენა გვაქვს ტრაქტორების მიმდინარე რემონტის საქმეში.

ტრაქტორების შეკეთების არსებული ტემპები (უკანასკნელ ხუთდღიურში შეკეთებისგეგმა შესრულდა მხოლოდ 6 პროცენტით) ვერ უზრუნველყოფს გეგმის დაწესებულ ვადებში შესრულებას.

გა..ხსნა საქ. სამომხ. კოოპ. მეათე ყრილობა

12 თებერვალს, საღ. 7 საათზე პროფსაბჭოს დიდ დარბაზში გაიხსნა საქ. სამომხმარებლო კოოპერაციის მე-10 ყრილობა.

საპატიო პრეზიდიუმში ყრილობამ აირჩია საქ. კ. პ. (ბ) ცკ-ის პოლიტბიურო ამხ. სტალინის მეთაურობით, ამხ. ბერია, ალაიაშვილი, ფ. მახარაძე, მგალობლიშვილი, ტელიანი, ...

...შემდეგ 1932 წლის ბოლოს დარსებულ იქნა სარაიონთაშორისო ბაზები, რომლებმაც გარკვეულად გააუმჯობესეს განსაკუთრებით სოფლის კოოპერატივების მომარაგება, მაგრამ სოფლის კოოპერატივების მუშაობა მაინც არადამაკმაყოფილებელია.

უკანასკნელ წლებში გაიზარდა ...

... 85,75 ... 1.118.400 ... 1934 წლის ...

...ძის, 1933 წლის ფინანსიურ მდგომარეობაზე — ამხ. ს. თოხაძის და სარევიზიო კომისიის — პ. ეფრემიძის.

მოსმენილ მოხსენებათა გარშემო დილის სხდომაზევე გაიხსნა კამათი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს: ამხ. კოკაიამ (ფოთი), აზევმა (ლიუქსემბურგი), ფერაძემ (ხაშური) და კაჯრიშვილმა (სიღნაღი).

ყრილობის მესამე სხდომაზე გრძელდებოდა კამათი: კამათში გამოვიდნენ: ამხ. ჟვანია (კოლხიდმშენის მუ... ...რია (ქუთაისი), ხარაზოვი (ხაშური), გასრიევი (სამხრეთ-ოსეთი), არუთინოვი (ალბულაღ-მანგლისი), ...დოვი (ადიგენი), ნარსია (საქ. მუშგლეხინი), ჟუკოვი (ტფილისი), გიგიტაშვილი (აგარა, შაქრის ქარხნის დახ. კოოპ.), კოშიაშვილი (ხაშურის რაიონი, სოფ. ოსიაურის კოლმეურნე-ქალი), მანჯგალაძე (სამხრეთ-ოსეთი) და წითლიშვილი (ტფილისი).

ქ რ ო ნ ი კ ა

საკავშირო რადიოგამოძახება საგზაო მშენებლობის საკითხებზე. 18 თებერვალს ღამის 2 საათზე იქნება საკავშირო რადიო გამოძახება საგზაო მშენებლობის საკითხებზე, უგზოობასთან ბრძოლის საკავშირო შეჯიბრებასთან დაკავშირებით.

განათლების მუშაკთა სახლში 14 თებერვალს საღამოს 8 საათზე კ. კაპანელი გააკეთებს მოხსენებას: „რუსთაველი როგორც მოაზროვნე“.

შესვლა თავისუფალია.

14 თებერვალს მწერალთა სახახლეში (მაჩაბლის 13) შესდგება მოხსენება „სახელგამის ახალგაზრდობის და საბავშო სექტორის 1934 წლის საგამომცემლო თემატიური გეგმის“ შესახებ.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

— საქ. კ. პ. (ბ) კომიტეტის კულტპროპგანყოფილებაში დღეს, 14 თებერვალს დღის 2 საათზე შესდგება თათბირი შემდეგი დღის წესრიგით: მე-17 პარტყრილობაზე ამხ. სტალინის მოხსენების დამუშავების მიმდინარეობის შესახებ. თათბირზე მოწვეულნი არიან შემდეგი ამხანაგები: სიხარულიძე (ლენრაიკომი), შ. ბუნიატოვა, ბერიშვილი, გეგენავა, მექვაბიშვილი (საგარეუბნო რაიკომი), რახმანი, („ტიფლისკი რაბოჩი“), ...ქაძე („კომუნისტი“), გოფმანსკი ...ლების განყოფილება), რაიკომების პარტკაბინეტების გამგეები ამხ. ჩხეიძე. გელოვანი, ბაქრაძე (საგარეუბნო რაიკომი), ლეჟავა („26-ის სახ. რაიკომი).

— 14 თებერვალს დღის 3 საათზე, საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის კადრების განყოფილებაში ამხ. კვირიკაძესთან (ოთახი № 17) შესდგება თათბირი, რომელსაც უნდა დაესწრონ შემდეგი ამხანაგები: გვარამია (მიწათმოქმ. სახ. კომისარიატი), მამალაძე, ...პავა (ჯანსახკომი), პეტროვი, მძმარიაშვილი (მძიმე მრეწვ. სახ. კომ.), ვასილევი (სატყეო კომისარიატი), ...ელიძე (მომარაგების სახ. კომისარიატი), ამირაღოვი (ცეკავშირი), ...ოლონტი (კომუნ. მეურნეობის სახ. კომისარიატი), კალანდაძე (თუთუნის მრეწვ. სახ. კომისარიატი) ხადირაშვილი (პრომ. საბჭო), შახმატიანი (კომკავშირის ც. კ-ი)).

მარცვლეული

10 თებერვალს, მარცვლეულის ამოღების გეგმა შესრულდა 86,2 პროც. გარეცხვის—71,3 პროც.

	ამოღება (ტონობ.)			გარეცხვა (ტონობ.)		
	დავალება	შესრულება	%	დავალება	შესრულება	%
ს უ ლ	4.112	3.543	86,2	2.093	1.494	71,3

...

ოლღა მიხეილის-ასულ ერისთავის

...

მალაქია ლევანის-ძე ლომიძის

...